

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 2090 კვ.მ გეგმარებითი არეალის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: N74.06.11.185; N74.06.11.654; N74.06.11.386; N74.06.11.777 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N587 დადგენილების - „გუდაურს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის N8/ო ბრძანებისა და 2021 წლის 23 თებერვლის N1/21 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული დოკუმენტაციის - გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N74.06.11.185; N74.06.11.654; N74.06.11.386; N74.06.11.777 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხილვა;

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და მოიცავს 4 კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს: N74.06.11.185; N74.06.11.654; N74.06.11.386; N74.06.11.777 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიას საერთო ფართობით 2090 კვ.მ.

საპროექტო ტერიტორია გუდაურის განაშენიანების გეგმით ხვდება ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიაზე სასოფლო-სამოსახლო ზონად(შზ-1) განვითარების დასაშვებ არეალში, საკურორტო ზონა 1-ში(შზ-6), ლოკალური ტრანსპორტის ტერიტორიაზე, ასევე ნაწილობრივ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის შეზღუდვის/გასხვისების ზოლში. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები საკურორტო ზონა 1-ში(შზ-6)-სთვის: მაქსიმალური სართულიანობა - 3 სართული ან 2 სართული და მანსარდა. მაქსიმალური სიმაღლე - კედლის ბოლომდე 8 მეტრი და კეხამდე 10 მეტრი. კ1 კოეფიციენტი - 0.4 და კ3 კოეფიციენტი - 0.3. სასოფლო-სამოსახლო ზონისთვის(შზ-1) კ1 - 0.3; კ2 - 0.5; კ3 - 0.3. მაქსიმალური სართულიანობა - 3 სართული ან 2 სართული და მანსარდა. მაქსიმალური სიმაღლე - კედლის ბოლომდე 8 მეტრი და კეხამდე 10 მეტრი.

დაგეგმვის ამოცანას წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის ერთიანი ინდივიდუალური განაშენიანების საცხოვრებელ კომპლექსად ჩამოყალიბება. დაგეგმილია ლანდშაფტური ტერიტორიის ცვლილება სასოფლო-სამოსახლო ზონით(შზ-1) (ინდივიდუალური განაშენიანებით). ავტოსადგომების დაანგარიშება მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად, 1 ყოველ საცხოვრებელ სახლზე/ზინაზე.

საპროექტო ტერიტორიაზე სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში 2021 წლის 14 აგვისტომდე, შემდეგი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhildebi@mrdi.gov.ge